



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გადანყობილება ნორმატიული აქტის
პროექტის განხილვის პროცედურის
დანახვის შესახებ

344/2

15 აპრილი, 2024 წელი

საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში
ცვლილების შეტანის შესახებ“ (N07-3/437; 10.04.2024)

(ინიციატორი ითხოვს დაჩქარებული წესით განხილვას)

დასახელება

საქართველოს პარლამენტის წევრები: პაატა კვიციანიძე,
ანტონ ობოლაშვილი, ირაკლი კირცხალია, ბეჟან წაქაძე,
ზაალ მიქელაძე, ირაკლი ზარქუა, გოგი მეშველიანი

ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის წევრები: პაატა კვიციანიძე,
ანტონ ობოლაშვილი, ირაკლი კირცხალია, ბეჟან წაქაძე,
ზაალ მიქელაძე, ირაკლი ზარქუა, გოგი მეშველიანი

აქტორი

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი

წამყვანი კომიტეტი

10. 04. 2024.

შემოსვლის თარიღი

წამყვან კომიტეტზე - 15.04. - 19.04.
სხვა კომიტეტებზე - 15.04. - 19.04.

საკომიტეტო მოსმენის საგარეულო თარიღი

17.04. - 19.04.

პლენარულ სხდომაზე
განხილვის საგარეულო თარიღი

კომიტეტები, რომელთა დასკვნა სავალდებულოა

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

საქართველოს პარლამენტის კომიტეტებსა და საპარლამენტო ფრაქციებში
დაიწყოს ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

შალვა პაპუაშვილი



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№344/2

2024 წელი, 15 აპრილი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 101-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის და 102-ე მუხლის მე-4 და მე-8 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიუროს ადგენს:

დაევალოს საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს, განიხილოს საქართველოს პარლამენტის წევრების: პაატა კვიციანიძის, ანტონ ოზოლაშვილის, ირაკლი კირცხალიას, ბეჟან წაქაძის, ზაალ მიქელაძის, ირაკლი ზარქუას და გოგი მეშველიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (N07-3/437; 10.04.2024) საქართველოს კანონის პროექტი და გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საქართველოს პარლამენტის ბიუროს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

შალვა პაპუნაშვილი



საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№344/2

2024 წელი, 15 აპრილი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1. საქართველოს პარლამენტის წევრების: პაატა კვიციანიძის, ანტონ ობოლაშვილის, ირაკლი კირცხალიას, ბეჟან წაქაძის, ზაალ მიქელაძის, ირაკლი ზარქუას და გოგი მეშველიანის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრების: პაატა კვიციანიძის, ანტონ ობოლაშვილის, ირაკლი კირცხალიას, ბეჟან წაქაძის, ზაალ მიქელაძის, ირაკლი ზარქუას და გოგი მეშველიანის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (N07-3/437; 10.04.2024) საქართველოს კანონის პროექტი განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით.

2. „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი სხდომის ერთ დღეს განხილულ იქნეს ორი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე

შალვა პაპუაშვილი



საქართველოს პარლამენტის ოფისი

საქართველოს პარლამენტი



საქართველოს პარლამენტის აპარატის
საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს,
ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

ქალბატონო ეთერ,

საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 99-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 101-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 102-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოგიდგენთ საქართველოს კანონის პროექტს “საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ”.

ამასთანავე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის შესაბამისად, ინიციატორების მიერ მოთხოვნილია კანონპროექტის დარქარებული წესით განხილვა. შესაბამისი დასაბუთება ასახულია განმარტებით ბარათში.

გთხოვთ, წარმოგიდგინოთ კანონპროექტს მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

პატივისცემით,

საქართველოს პარლამენტის წევრები:

შალვა კვიციანი
 ირაკლი მსხვილაძე
 ირაკლი ჯანაშია
 ნიკოლოზ ნიქაძე
 შალვა შიქიძე
 ირაკლი მჭედია

2023 24 25 26

J. [Signature]

Handwriting practice lines consisting of 18 horizontal dashed lines.

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) 309-ე მუხლის :

ა) 37-ე ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) ფიზიკური პირის აღიარებული, 2021 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და ჩამოწერის მომენტისთვის არსებული საგადასახადო დავალიანება და მასზე დარიცხული საურავი.“.

ბ) 145-ე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 146-ე ნაწილი:

„146. შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოს ყველა აქტივზე (მათ შორის, წილზე/აქციაზე) საკუთრების უფლების, 2028 წლის 1 იანვრამდე საქართველოს საწარმოსთვის გადაცემის შემთხვევაში:

ა) ამ ოპერაციის ფარგლებში, შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოს და პარტნიორი ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი/სარგებელი, რომელიც ამ კოდექსის მიზნისთვის განიხილება საქართველოს წყაროდან მიღებულ შემოსავლად, გათავისუფლებულია მოგების/საშემოსავლო გადასახადისგან;

ბ) აქტივის/საქონლის საქართველოში შემოტანა/იმპორტი გათავისუფლებულია იმპორტის გადასახდელისგან. ამ ქვეპუნქტის გამოყენების წესს და პირობებს განსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

გ) საქართველოს საწარმო ამ ოპერაციის ფარგლებში მიღებულ აქტივთან დაკავშირებით გათავისუფლებულია ქონების გადასახადისგან, 2030 წლის 1 იანვრამდე.

შენიშვნა:

1. ეს ნაწილი გამოიყენება:

ა) თუ შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოსა და საქართველოს საწარმოში წილის/აქციების 100 პროცენტს ფლობს ერთი და იგივე ფიზიკური პირი (პირთა ჯგუფი);

ბ) მხოლოდ იმ აქტივის გადაცემის შემთხვევაში, რომელიც შეღავათიანი დაბეგვრის მექანიზმით რეგისტრირებული უცხოური საწარმოს საკუთრებაშია ამ ნაწილის ამოქმედების დღისთვის.

2. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აქტივის მიმღები მხარისთვის აქტივის ღირებულება იგივეა, რაც მიმწოდებელი მხარისთვის მისი ღირებულება ამ აქტივის გადაცემის მომენტისთვის.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტის მიხედვით 2021 წლის 1 იანვრამდე დარიცხული საგადასახადო დავალიანება ჩამოეწერებათ ფიზიკურ პირებს, რომლებიც საგადასახადო დავალიანების გამო პრაქტიკულად ვეღარ საქმიანობენ, რადგან მათ მიმართ მიმდინარეობს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო ვალდებულების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

წლების განმავლობაში დაგროვილი საგადასახადო დავალიანების ჩამოწერით, ხორციელდება ფიზიკური პირების ხელშეწყობა და სტიმულირება. მათ ეძლევათ შესაძლებლობა ხელახლა, საგადასახადო ვალდებულების გარეშე, განაახლონ თავისი საქმიანობა.

საქართველოში ინვესტიციის დაბანდება ხშირად ხორციელდება შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში (ოფშორში) რეგისტრირებული უცხოური საწარმოების მიერ, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ შვილობილი საწარმოების მეშვეობით, რაც მოიცავს გადასახადისგან თავის არიდების რისკს და ხელს უშლის ეფექტურ საგადასახადო ადმინისტრირებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, გადასახადისგან თავის არიდების პრევენციის, საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის და გადასახადის ადმინისტრირების გამარტივებისთვის მნიშვნელოვანია ხელი შეეწყოს შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული კომპანიებიდან აქტივების საქართველოში გადმოტანის პროცესს.

ამასთანავე, ე.წ. „ოფშორული კომპანიის“ მიერ ყველა აქტივის საქართველოში გადმოტანის პროცესი შესაძლებელია შეაფერხოს იმ საგადასახადო ვალდებულებებმა, რომელიც ამ აქტივების გადაცემისას წარმოიშობა.

კანონპროექტის მიზანია, შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოდან აქტივების საქართველოში გადმოტანის პროცესის წახალისება, ამ ოპერაციებზე დროებითი საგადასახადო შეღავათების დადგენის გზით.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

ფიზიკური პირები, რომლებსაც ერიცხებათ საგადასახადო დავალიანება პრაქტიკულად ვეღარ საქმიანობენ, მათ მიმართ მიმდინარე საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო ვალდებულების უზრუნველყოფის ღონისძიებების გამო.

აღნიშნული პრობლემის გადაჭრის მიზნით, კანონპროექტი ითვალისწინებს ფიზიკური პირების წლების განმავლობაში დაგროვილი საგადასახადო დავალიანების ჩამოწერას, რაც მათ მისცემს შესაძლებლობას საგადასახადო ვალდებულების გარეშე, განაახლონ თავისი საქმიანობა.

კანონპროექტის მიღება აუცილებელია ე.წ. „ოფშორული კომპანიების“ მიერ აქტივების საქართველოში გადმოტანის პროცესის ხელშეწყობისთვის, რაც შეამცირებს გადასახადისგან თავის არიდების რისკს, უზრუნველყოფს საქმიანობის გამჭვირვალობას და ეფექტურ საგადასახადო ადმინისტრირებას. ვინაიდან, აღნიშნული პროცესი შესაძლებელია შეაფერხოს იმ საგადასახადო ვალდებულებებმა, რომელიც ამ აქტივების გადაცემისას წარმოიშობა, აუცილებელია შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოდან აქტივების საქართველოში გადმოტანის პროცესის წახალისება, ამ ოპერაციებზე დროებითი საგადასახადო შეღავათების დადგენის გზით.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიხედვით 2021 წლის 1 იანვრამდე დარიცხული საგადასახადო დავალიანება და შესაბამისი საურავი ჩამოეწერებათ ფიზიკურ პირებს.

აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით 145 842 გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირს ერიცხება საგადასახადო დავალიანება, რომელიც წარმოშობილია 2021 წლის 1 იანვრამდე. წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივის ფარგლებში აღნიშნულ პირებს ჩამოეწერება 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული საგადასახადო დავალიანება, რომელიც ჯამურად შეადგენს დაახლოებით 591 458 571 ლარს. მათ შორის, გადასახადი -225 746 111 ლარი; ჯარიმა - 138 611 457 ლარი და საურავი - 227 101 003 ლარი.

კანონპროექტის მიღებით წესდება საგადასახადო შეღავათები შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოს ყველა აქტივზე საკუთრების უფლების საქართველოს საწარმოსთვის გადაცემის ოპერაციებზე, რომლებიც განხორციელდება 2028 წლის 1 იანვრამდე. კერძოდ, შესაბამისი ოპერაციები გათავისუფლდება მოგების გადასახადისგან, საშემოსავლო გადასახადისა და ქონების გადასახადისგან, ასევე, ამ ოპერაციის

ფარგლებში, აქტივის/საქონლის საქართველოში შემოტანა/იმპორტი გათავისუფლდება იმპორტის გადასახდელებისგან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის შესაბამისად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილს ემატება „დ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 252-ე მუხლის მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით ჩამოიწერება ფიზიკური პირის აღიარებული, 2021 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და ჩამოწერის მომენტისთვის არსებული საგადასახადო დავალიანება და მასზე დარიცხული საურავი.

წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლს ემატება 146-ე ნაწილი. ცვლილების შედეგად, განისაზღვრება, რომ შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოს ყველა აქტივზე (მათ შორის, წილზე/აქციაზე) საკუთრების უფლების, 2028 წლის 1 იანვრამდე საქართველოს საწარმოსთვის გადაცემისას ამ ოპერაციის ფარგლებში, შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოს და პარტნიორი ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი, რომელიც ამ კოდექსის მიზნისთვის განიხილება საქართველოს წყაროდან მიღებულ შემოსავლად, გათავისუფლებულია მოგების/საშემოსავლო გადასახადისგან.

კანონპროექტის მიხედვით აღნიშნული ოპერაციის ფარგლებში აქტივის/საქონლის საქართველოში შემოტანა/იმპორტი თავისუფლდება იმპორტის გადასახდელებისგან. ხოლო, საქართველოს საწარმო ამ ოპერაციის ფარგლებში მიღებულ აქტივთან დაკავშირებით თავისუფლდება ქონების გადასახადისგან, 2030 წლის 1 იანვრამდე.

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტის მიხედვით, საგადასახადო შეღავათები გავრცელდება მხოლოდ იმ აქტივების გადაცემაზე, რომელიც შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოს საკუთრებაშია კანონპროექტის ამოქმედების დღისთვის. საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის აუცილებელი პირობაა, რომ შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოსა და საქართველოს საწარმოში წილის/აქციების 100 პროცენტს ფლობდეს ერთი და იგივე ფიზიკური პირი (პირთა ჯგუფი);

კანონპროექტის მიხედვით, შემდგომში გადასახადისგან თავის არიდების პრევენციის მიზნით განისაზღვრა, რომ ამ ოპერაციის ფარგლებში აქტივის მიმღები მხარისთვის აქტივის ღირებულება იგივეა, რაც მიმწოდებელი მხარისთვის მისი ღირებულება ამ აქტივის გადაცემის მომენტისთვის.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

განმარტებითი ბარათის წინამდებარე პუნქტი არ ვრცელდება წარმოდგენილ კანონპროექტზე, რადგან იგი არ არის საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტით გათვალისწინებულია ცვლილებების გამოქვეყნებისთანავე ამოქმედება, რადგან იგი, მისი მიზნიდან და შინაარსიდან გამომდინარე, არ ითხოვს ამოქმედების უფრო გვიანდელი ვადის დადგენას. ამასთანავე, კანონპროექტით არ არის გათვალისწინებული კანონისთვის უკუძალის მინიჭება.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი და საბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის მიზნებიდან გამომდინარე მოთხოვნილია მისი დაჩქარებული წესით განხილვა. დავალიანების მქონე პირების მიმართ მიმდინარეობს საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფის ღონისძიებები (საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა, ყადაღა), რაც აფერხებს მათ მონაწილეობას ეკონომიკურ საქმიანობაში. შესაბამისად, კანონპროექტის მიზნიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია დროულად შეწყდეს საგადასახადო დავალიანების უზრუნველყოფის ღონისძიებები და აღნიშნული პირების დროული ჩართვა ეკონომიკურ აქტივობებში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფასთან და არ საჭიროებს დაფინანსების წყაროს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებულმა საგადასახადო დავალიანებამ ჯამურად შეადგინა დაახლოებით 591,458,571 ლარი, შემოსავლების სამსახურის მიერ საგადასახადო დავალიანების გადახდევინებისთვის განხორციელებული ღონისძიებების შედეგად ჯამში 2021-2023 წლებში სულ ამოღებულია 4,989,492 ლარი, აღნიშნულის გათვალისწინებით, კანონპროექტის სავარაუდო უარყოფითი გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ჯამურად იქნება საშუალოდ წელიწადში 1,600,000 ლარის ოდენობით. იხილეთ ინფორმაცია:

გადახდილი თანხები			
2021	2022	2023	სულ 2021-2023
1,761,551	1,659,380	1,568,561	4,989,492

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს პირდაპირ გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. ამასთან, კანონპროექტით გათვალისწინებულ პირებზე საგადასახადო დავალიანების ჩამოწერა განხორციელდება ავტომატურად, შესაბამისად, საგადასახადო ორგანოს/აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ არ მოხდება ამ მიმართულებით ხარჯების გაწევა.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფო მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიხედვით 2021 წლის 1 იანვრამდე დარიცხული საგადასახადო დავალიანება და შესაბამისი საურავი, ჩამოეწერებათ ფიზიკურ პირებს. შესაბამისად, კანონპროექტი დადებითად იმოქმედებს ამ პირთა ფინანსურ შედეგზე.

დღეის მდგომარეობით 145 842 გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირს ერიცხება საგადასახადო დავალიანება, რომელიც წარმოშობილია 2021 წლის 1 იანვრამდე. წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივის ფარგლებში აღნიშნულ პირებს ჩამოეწერება 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული საგადასახადო დავალიანება, რომელიც ჯამურად შეადგენს დაახლოებით 591 458 571 ლარს.

კანონპროექტის მიღების შედეგად, შესაბამის ოპერაციაზე შესაძლო საგადასახადო ვალდებულებებისგან გათავისუფლდებიან პირები, რომლებიც განხორციელებენ შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოს საკუთრებაში არსებული ყველა აქტივის საქართველოს საწარმოს საკუთრებაში გადაცემას. კერძოდ, კანონპროექტით

გათვალისწინებული შესაბამისი შეღავათები შეეხება აქტივების ბენეფიციარ მესაკუთრე ფიზიკურ პირს/ პირებს, შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოურ საწარმოს და საქართველოს საწარმოს, რომლის საკუთრებაშიც გადავა აქტივები.

აღნიშნული ცვლილება ხორციელდება ამ პროცესის ხელშეწყობის მიზნით და ბიზნესის შესაბამისი გადაწყვეტილების შემთხვევაში დადებითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზე. შესაბამისად, გავლენის შეფასება დამოკიდებულია ბიზნესის შესაბამის გადაწყვეტილებაზე აქტივების საქართველოში გადმოტანის შესახებ.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე სახის გადასახადს ან მოსაკრებელს.

ბ1) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტს არ აქვს გავლენა ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ2) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტის ინიციატორის მოსაზრებით, კანონპროექტის მიღებით გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენის მოხდენა მოსალოდნელი არ არის.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მომზადება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირისა და

ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: პაატა კვიციანიძე, ანტონ ობოლაშვილი, ირაკლი კირცხალია, ბეჟან წაქაძე, ზაალ მიქელაძე, ირაკლი ზარქუა, გოგი მეშველიანი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: პაატა კვიციანიძე, ანტონ ობოლაშვილი, ირაკლი კირცხალია, ბეჟან წაქაძე, ზაალ მიქელაძე, ირაკლი ზარქუა, გოგი მეშველიანი.